

საქართველოს კანონი
„სამრეწველო ემისიების შესახებ“

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების საგანი

1. ამ კანონის მიზანია სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალში და მიწაში ემისიების პრევენცია ან სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ემისიების შემცირება და კონტროლი, ასევე, ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია.
2. ეს კანონი განსაზღვრავს დაბინძურების გამომწვევი სამრეწველო საქმიანობებისთვის ინტეგრირებული ნებართვის გაცემის წესს, პირობებს და ამ პირობების შესრულების კონტროლს, ასევე, სახელმწიფო ორგანოებისა და ფიზიკური/იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.
3. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ კანონის I დანართით გათვალისწინებულ დაბინძურების გამომწვევ სამრეწველო საქმიანობებზე, წვის დანადგარებზე და ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებზე.
4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:
 - ა) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობებზე;
 - ბ) ახალი პროდუქტის და პროცესების გამოცდაზე, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **დაბინძურება** - საქმიანობის შედეგად მავნე ნივთიერებების, ვიბრაციის, სითბოს ან ხმაურის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, წყალში ან მიწაში, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს, გამოიწვიოს ქონების დაზიანება, შეზღუდოს გარემოს შემადგენელ ელემენტებზე ხელმისაწვდომობა;
 - ბ) **გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი სტანდარტები** - ნორმები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
 - გ) **ზოგადი სავალდებულო წესები** - ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სხვა პირობები დარგობრივ დონეზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას უშუალოდ ინტეგრირებული ნებართვის პირობების განსაზღვრის მიზნით;
 - დ) **ნივთიერება** - ნებისმიერი ქიმიური ელემენტი და მისი ნაერთები, გარდა რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა;
 - ე) **სახიფათო ნივთიერება** - ნივთიერებები ან ნარევიები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;
 - ვ) **მონიტორინგი** - გარემოს შემადგენელი ელემენტების (მიწა, წყალი, ჰაერი) ხარისხობრივი მდგომარეობის გაზომვა, დაკვირვება და ანალიზი;

- ზ) **ემისია** - წერტილოვანი ან დიფუზიური წყაროებიდან ნივთიერებების, ვიბრაციის, სითბოს ან ხმაურის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, წყალში ან მიწაში;
- თ) **წერტილოვანი წყარო** - დაბინძურების იდენტიფიცირებული ადგილი, რომლიდანაც ხდება დამაბინძურებლების გარემოში გავრცელება ორგანიზებული ან არაორგანიზებული ნაკადის სახით;
- ი) **დიფუზიური წყარო** - დაბინძურების არეალი, რომლიდანაც ხდება დამაბინძურებლების გარემოში გავრცელება არაორგანიზებული ნაკადის სახით;
- კ) **ემისიის ზღვრული მნიშვნელობა** - ემისიის გარკვეული პარამეტრებით გამოხატული მასა, კონცენტრაცია ან/და დონე, რომლის გადამეტებაც დაუშვებელია დროის გარკვეულ პერიოდში ან პერიოდებში;
- ლ) **საზოგადოება** - ერთი ან ერთზე მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;
- მ) **დაინტერესებული საზოგადოება** - საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულია ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან ან მისი პირობების განახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით ან რომელზეც ახდენს ან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ასეთმა გადაწყვეტილებამ. დაინტერესებულ საზოგადოებას მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზნებიც დაკავშირებულია ქვეყანაში გარემოს დაცვის ხელშეწყობასთან;
- ნ) **ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა** - ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული ერთი ან ერთზე მეტი საქმიანობა ან სხვა ნებისმიერი უშუალოდ მათთან დაკავშირებული საქმიანობა იგივე ადგილზე, რომელიც ტექნიკურადაა დაკავშირებული ამ კანონის I დანართით განსაზღვრულ საქმიანობასთან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ემისია ან დაბინძურება, ასევე, წვის დანადგარის მოწყობა, ნარჩენების ინსინერაცია ან თანაინსინერაცია;
- ო) **პირი** - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირი;
- პ) **დანადგარი** - სტაციონარული ტექნიკური ერთეული, რომლის მეშვეობით ხორციელდება ამ კანონის I დანართით განსაზღვრული ერთი ან მეტი საქმიანობა და სხვა ნებისმიერი უშუალოდ მათთან დაკავშირებული საქმიანობა იგივე ადგილზე, რომელიც ტექნიკურადაა დაკავშირებული აღნიშნული დანართით განსაზღვრულ საქმიანობებთან და რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ემისიებსა და დაბინძურებაზე;
- ჟ) **არსებითი ცვლილება** - ტექნოლოგიის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, გაფართოება, მათ შორის წარმადობის გაზრდა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. არსებით ცვლილებად ასევე ჩაითვლება საქმიანობის ფარგლებში ამ კანონის I დანართში მითითებული ზღვრების სულ მცირე გაორმაგება.
- რ) **საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა** - საქმიანობების და მათი განხორციელების მეთოდების განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მოწინავე ეტაპი, რომელიც ინტეგრირებული ნებართვის ისეთი პირობების (ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სხვა) დადგენის საშუალებას იძლევა, რომლებიც მიმართულია ემისიებისა და

მთლიანობაში გარემოზე ზემოქმედების პრევენციისკენ, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, შემცირებისკენ;

ს) **ტექნიკა** - გამოყენებული ტექნოლოგია, ასევე ობიექტის დაპროექტების, მშენებლობის, ტექნიკური მომსახურების, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის მეთოდები;

ტ) **ხელმისაწვდომი ტექნიკა** - ტექნიკა, რომლის განვითარების დონეც იძლევა მისი გამოყენების საშუალებას შესაბამის სამრეწველო სექტორში, ხარჯსარგებლიანობის გათვალისწინებით, განურჩევლად იმისა აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ან შემუშავება ხდება თუ არა საქართველოში, იმ პირობით, რომ ეს ტექნიკა მიზანშეწონილობის ფარგლებში, ეკონომიკურად და ტექნიკურად ხელმისაწვდომია საქმიანობის განმახორციელებლისათვის;

უ) **საუკეთესო** - ყველაზე ეფექტიანი, გარემოს დაცვის თვალსაზრისით;

ფ) **საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო** - ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ევროპის კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც შედგენილია განსაზღვრული საქმიანობისთვის და აღწერს გამოყენებულ ტექნიკას, არსებული ემისიებისა და მოხმარების დონეებს, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრისთვის გათვალისწინებულ მეთოდებს ასევე დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ და ნებისმიერ ახალ ტექნიკას, ამ კანონის III დანართში ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;

ქ) **დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ** - საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო დოკუმენტის იმ ნაწილებს, სადაც განსაზღვრულია დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებით, მათი აღწერილობა, გამოყენების შესაძლებლობა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიის დონეები, შესაბამისი მოხმარების დონეები, მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო რემედიაციის ღონისძიებები;

ღ) **საქმიანობის განმახორციელებელი** - პირი, რომელსაც სურს ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ან ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას;

ყ) **საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიის დონეები** - ემისიის დონეების დიაპაზონი, რომელიც მიღებულია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ან საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის კომბინაციის ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში გამოყენების შედეგად, როგორც ეს აღწერილია დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ და გამოხატულია საშუალო მაჩვენებლის სახით დროის გარკვეული პერიოდისთვის, განსაზღვრულ სტანდარტულ პირობებში;

შ) **ინოვაციური ტექნიკა** - სამრეწველო საქმიანობისთვის განკუთვნილი ტექნიკა, რომელმაც მისი კომერციულად განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა უზრუნველყოს გარემოს დაცვის მაღალი დონე ან გარემოს დაცვის მინიმუმ იგივე დონე და ხარჯების უფრო მეტად დაზოგვა არსებულ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან შედარებით;

ჩ) **საბაზისო ანგარიში** - ინფორმაცია ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურების მდგომარეობის შესახებ;

ც) **გარემოსდაცვითი ინსპექტირება** - საქმიანობის ადგილზე დათვალიერება, შემოწმება და შესაბამისი რეაგირება;

ძ) **საწვავი** - ნებისმიერი მყარი, თხევადი ან აირადი წვადი მასალა;

- წ) წვის დანადგარი - ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობა, სადაც ხდება საწვავის ჟანგვა ამ გზით წარმოქმნილი სითბოს გამოყენების მიზნით;
 - ჭ) ნარჩენების ინსინერაციის საწარმო - სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების თერმული დამუშავებისთვის, გამოყოფილი წვის სითბოს აღდგენით ან მისი აღდგენის გარეშე, ნარჩენების დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების პროცესით, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;
 - ხ) ნარჩენების თანაინსინერაციის საწარმო - სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ენერჯის მიღება ან მატერიალური პროდუქტის წარმოება, რომელიც ნარჩენებს ძირითად ან დამატებით საწვავად იყენებს ან რომელშიც ნარჩენები თერმულად მუშავდება განთავსებისათვის, დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების პროცესით, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;
 - ჯ) სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
 - ჰ) მინისტრი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.
2. ამ კანონში გამოყენებული სხვა ტერმინები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროში უფლებამოსილი ორგანო

სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროში სამინისტროს უფლებამოსილებებია:

- ა) სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- ბ) ინტეგრირებული ნებართვის გაცემა, გაუქმება და პირობების შეცვლა;
- გ) დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა ამ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ასევე, შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა;
- დ) ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემის შექმნა, წარმოება და მასში არსებული ინფორმაციის უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ე) სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 4. ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპები

1. ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელება დაუშვებელია ინტეგრირებული ნებართვის გარეშე.
2. იმ შემთხვევაში, თუ ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა ასევე ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“

გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საქმიანობაზე გაიცემა ინტეგრირებული ნებართვა. აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი პროცედურები, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განსაზღვრული პირობები აისახება ინტეგრირებულ ნებართვაში.

3. თუ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა ინტეგრირებულ ნებართვაზე დამოკიდებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის რომელიმე სტადიის დასრულება, აღნიშნული ლიცენზია/ნებართვა შეიძლება ძალაში შევიდეს ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის შესაბამისი სტადია შეიძლება დასრულდეს მხოლოდ ინტეგრირებული ნებართვის მიღების შემდეგ.

4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიით/ნებართვით არ შეიძლება დადგინდეს ინტეგრირებული ნებართვის საწინააღმდეგო სალიცენზიო/სანებართვო პირობები. სალიცენზიო პირობებისა და ინტეგრირებული ნებართვით განსაზღვრული პირობების შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ინტეგრირებული ნებართვით განსაზღვრულ პირობებს მიენიჭება.

5. ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

- ა) დაბინძურების წინააღმდეგ ყველა სათანადო პრევენციული ღონისძიების გატარება;
- ბ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენება;
- გ) მნიშვნელოვანი დაბინძურების გამოწვევის თავიდან აცილება;
- დ) ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად;
- ე) ენერჯის ეფექტური გამოყენება;
- ვ) აუცილებელი ზომების მიღება ავარიების შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად და სხვა შესაძლო ინცინდენტების/ავარიების პრევენციის მიზნით;
- ზ) საქმიანობის საბოლოოდ შეწყვეტის შემთხვევაში აუცილებელი ზომების მიღება დაბინძურების ნებისმიერი რისკის თავიდან ასაცილებლად და საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენა ამ კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5. დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ

1. დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ მტკიცდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, სამინისტროს წარდგინებით. აღნიშნული დასკვნები ეფუძნება ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ შესაბამის დასკვნებს.

2. ინტეგრირებული ნებართვის პირობები განისაზღვრება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის საფუძველზე.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში არ არის გათვალისწინებული საქმიანობა ან საწარმოო პროცესი ან/და საქმიანობის ან ცალკეული საწარმოო პროცესის გარემოზე ყველა შესაძლო ზემოქმედება, ინტეგრირებული ნებართვის პირობები განისაზღვრება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის საფუძველზე, ამ კანონის III დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქმიანობის განმახორციელებელთან წინასწარი კონსულტაციით.

4. როდესაც ინტეგრირებული ნებართვის პირობები დგინდება ისეთ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაყრდნობით, რომელიც არ არის აღწერილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში, ეს ტექნიკა უნდა განისაზღვროს ამ

კანონის III დანართში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებით არ არის გათვალისწინებული ემისიის დონეები სამინისტრომ ინტეგრირებული ნებართვის პირობებით უნდა უზრუნველყოს, რომ ტექნიკამ დააკმაყოფილოს გარემოს დაცვის ისეთი დონე, რომელიც ექვივალენტურია დასკვნებში აღწერილ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან.

მუხლი 6. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები

1. ინტეგრირებულ ნებართვაში განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ, რომელიმე კონკრეტული ტექნიკის ან ტექნოლოგიის გამოყენების მოთხოვნის გარეშე.

2. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ამ კანონის II დანართით განსაზღვრული ნივთიერებებისათვის წარმოადგენს ინტეგრირებული ნებართვის პირობას.

3. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სპეციალური წესები წვის დანადგარებისათვის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებისთვის და იმ საქმიანობისათვის, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. ინტეგრირებულ ნებართვაში საქმიანობისთვის განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები არ უნდა აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. ინტეგრირებულ ნებართვაში განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები დგინდება ემისიის გარემოში მოხვედრის წერტილისთვის. აღნიშნული მნიშვნელობების დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ამ წერტილამდე ნივთიერებების განზავება.

6. სამინისტრო უფლებამოსილია ემისიის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები დამატებით განსაზღვროს ან შეცვალოს ექვივალენტური პარამეტრებით ან ტექნიკური ღონისძიებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს დაცვის ექვივალენტურ დონეს.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი სტანდარტები მოითხოვს უფრო მკაცრ პირობებს, ვიდრე ის პირობები, რომლებიც მიიღწევა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის/გამოყენების გზით, სამინისტრო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვით დაადგინოს დამატებითი ღონისძიებები. დამატებითი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს უფრო მკაცრი ინტეგრირებული ნებართვის პირობებს.

მუხლი 7. ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევა

1. სამინისტრო უფლებამოსილია დააწესოს ემისიის ზღვრული ნაკლებად მკაცრი მნიშვნელობები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთსარგებლიანობის ან/და სხვა ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებული ემისიების დონეების მიღწევა, როგორც ისინი აღწერილია

დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ, გამოიწვევს არათანაბარზომიერად მაღალ ხარჯებს გარემოსდაცვით სარგებელთან შედარებით, შემდეგი მიზეზების გამო:

- ა) საქმიანობის განხორციელების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ან ადგილობრივი გარემო პირობები;
 - ბ) საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები.
2. სამინისტრო განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას და მიიღებს შესაბამის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.
 3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება წვის დანადგარებზე, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებზე და საქმიანობებზე, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს.
 4. ამ მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი არ ექნება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას.
 5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას/გადახედვას სამინისტროს მიერ, ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის ცვლილების განხორციელებისას.
 6. ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის მიზნებისთვის ინოვაციური ტექნიკის გამოცდა/გამოყენების შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვის მფლობელისთვის დაუშვას გამონაკლისი ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-6 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით და მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან. ამასთან გამოცდა/გამოყენების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ინტეგრირებული ნებართვის მფლობელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ემისიის დონეები ან შეწყვიტოს აღნიშნული ტექნიკის გამოყენება.
 7. სამინისტრო უფლებამოსილია განსაზღვროს ემისიის ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც განსხვავდება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული მნიშვნელობებისგან, სიდიდეების, დროის პერიოდებისა და სტანდარტული პირობების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში, სამინისტრო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, შეაფასებს ემისიების მონიტორინგის შედეგებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში ემისიები არ აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს.

მუხლი 8. საბაზისო ანგარიში

1. საბაზისო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება ვრცელდება იმ საქმიანობაზე, რომელიც ითვალისწინებს სახიფათო ნივთიერებების გამოყენებას, წარმოებას ან გარემოში გავრცელებას.
2. საბაზისო ანგარიში უნდა მოიცავდეს:
 - ა) ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის ამჟამად და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში წარსულში გამოყენების შესახებ;
 - ბ) ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ნიადაგსა და მიწისქვეშა წყლებზე ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ არსებულ ინფორმაციას, რომლებიც ასახავენ მათ

მდგომარეობას ანგარიშის შედეგის დროს ან/და ინფორმაციას იმ ახალი კვლევების შედეგების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის განხორციელებით ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაზიანებებთან.

მუხლი 9. ზოგადი სავალდებულო წესები

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ზოგადი სავალდებულო წესები ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ მდგომარეობას და გარემოს დაცვის ისეთ დონეს, რომელიც ცალკეული ინტეგრირებული ნებართვის პირობების მეშვეობით მიღწევადი დონის ექვივალენტურია.
2. ზოგადი სავალდებულო წესები დაფუძნებული უნდა იყოს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე, კონკრეტული ტექნოლოგიის ან ტექნიკის მითითების გარეშე, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლებთან.
3. ზოგადი სავალდებულო წესები ექვემდებარება განახლებას საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განვითარების გათვალისწინებისა და ამ კანონის მე-17 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 10. ინციდენტის/ავარიის პრევენცია და მათი შედეგების შერბილება

1. ნებისმიერი ინციდენტის/ავარიის შემთხვევაში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:
 - ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამინისტროს;
 - ბ) დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები ინციდენტის/ავარიის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად და სხვა შესაძლო ინციდენტის/ავარიის პრევენციის მიზნით.
2. სამინისტრომ უნდა მოითხოვოს საქმიანობის განმახორციელებლისაგან სათანადო დამატებითი ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების შემცირების და შემდგომი შესაძლო ინციდენტის/ავარიის პრევენციის მიზნით.

თავი II

ინტეგრირებული ნებართვის გაცემა

მუხლი 11. განაცხადის წარდგენა ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად

1. განაცხადი ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად (შემდგომში - განაცხადი) და თანდართული დოკუმენტაცია წარედგინება სამინისტროს, მატერიალური და ელექტრონული ფორმით.
2. განაცხადი, გარდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა, უნდა მოიცავდეს შემდეგს:
 - ა) ინფორმაცია დაგეგმილი/მიმდინარე საქმიანობის, მათ შორის საქმიანობისთვის გამოყენებული მოწყობილობა/დანადგარების შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია ნედლეულისა და დამხმარე და სხვა მასალების, ასევე მოხმარებული ან/და წარმოებული ენერჯის თაობაზე;

- გ) ინფორმაცია ემისიის წყაროების, პროგნოზირებადი ემისიებისა და მათი გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
 - დ) ინფორმაცია დაგეგმილი/მიმდინარე საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის შესახებ;
 - ე) საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული საბაზისო ანგარიში;
 - ვ) ინფორმაცია შემოთავაზებული ტექნოლოგიის თაობაზე, მათ შორის ემისიების პრევენციის, ან სადაც ეს შეუძლებელია, შემცირებისათვის გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
 - ზ) ნარჩენების მართვის გეგმა, მათ შორის, პრევენციის, ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებები;
 - თ) საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც იგეგმება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ, ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპებთან შესაბამისობის მიზნით;
 - ი) გარემოში ემისიების მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები;
 - კ) შეთავაზებული ტექნოლოგიის, ტექნიკისა და ღონისძიებების განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივები;
 - ლ) საქმიანობის საბოლოო შეწყვეტისას რემედიაციასთან, გაუქმებასთან, აღდგენასთან და შემდგომ მოვლასთან დაკავშირებული შეთავაზებული ღონისძიებები;
 - მ) მოთხოვნა ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. განაცხადს თან უნდა დაერთოს ინტეგრირებული ნებართვის პროექტი და ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
4. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განაცხადს ასევე უნდა დაერთოს:
- ა) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული გზშ-ის ანგარიში;
 - ბ) მოთხოვნა ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, სამინისტროს შეუძლია განმცხადებელისგან მოითხოვოს განაცხადში დამატებითი მონაცემების წარმოდგენა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ან/და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში, თუ ამგვარი მონაცემები აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად. დამატებითი მონაცემების წარმოდგენამდე ჩერდება ინტეგრირებული ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადები. დამატებითი ინფორმაციის წარმოუდგენლობა არის სამინისტროს მიერ განაცხადის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.
6. სამინისტრო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის შესახებ.

7. განაცხადში ასახული ინფორმაცია საჯაროა. თუ განაცხადი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემს, საქმიანობის განმახორციელებელმა შესაბამის განაცხადებაში უნდა მიუთითოს აღნიშნული ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ. სამინისტრო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დასაიდუმლოება.

8. სამინისტრო განაცხადს განიხილავს ამ კანონის მოთხოვნების და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად. ამ კანონის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები.

9. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ერთი განაცხადით მოითხოვოს ამ კანონის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებზე და უშუალოდ მათთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაზე ერთი ინტეგრირებული ნებართვის მიღება იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობები ხორციელდება იგივე ადგილზე და არსებითად ურთიერთდაკავშირებულია.

10. ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად გადაიხდებება მოსაკრებელი, რომლის ოდენობა შეადგენს 5000 ლარს (დაჩქარებული მომსახურებისთვის - 7500 ლარი). საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადახდილი მოსაკრებელი უკან არ ბრუნდება.

11. განაცხადის ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 12. ინტეგრირებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

1. ინტეგრირებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წესი განისაზღვრება ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში ინტეგრირებული ნებართვა გაიცემა დაჩქარებული წარმოებით.

2. ინტეგრირებული ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს:

ა) ექსპერტიზას;

ბ) საზოგადოებისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობას.

3. განაცხადის რეგისტრაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს:

ა) განაცხადის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება, ხოლო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების განთავსება. მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობა;

ბ) საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობის გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ბ.ა) განსახილველი საკითხის არსი და მოკლე აღწერა, საკითხის განხილვის ფორმატი;

- ბ.ბ) საჯარო განხილვის ჩატარების დრო, ადგილი და წესი;
- ბ.გ) იმ ვებგვერდის მისამართი, რომელზეც ხელმისაწვდომია ეს განაცხადი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
- გ) საექსპერტო კომისიის შექმნა.

მუხლი 13. საექსპერტო კომისია

1. ამ კანონით გათვალისწინებული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მინისტრი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმნის საექსპერტო კომისიას, რომელიც განაცხადის წარდგენიდან 60 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - 35 სამუშაო დღის ვადაში) ამზადებს შესაბამის საექსპერტო დასკვნას.
2. საექსპერტო კომისია შედგება ექსპერტებისაგან. ექსპერტი შეიძლება იყოს სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების წარმომადგენელი ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ექსპერტი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამინისტროს უფლება აქვს საექსპერტო კომისიის წევრად მოიწვიოს უცხო ქვეყნის სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი) ან მოქალაქეობის არმქონე პირი.
3. საზოგადოებრივი ექსპერტი ექსპერტიზის პროცესში სამინისტროს მიერ მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მონაწილეობს. საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებას სამინისტრო ახორციელებს მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესი განისაზღვრება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.
4. საექსპერტო კომისიის ფუნქციებია:
 - ა) ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ექსპერტიზა და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადება;
 - ბ) ექსპერტიზის პროცესში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება;
 - გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
5. საექსპერტო კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან, ადგილზე დაათვალიერონ და შეისწავლონ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნულ ტერიტორიაზე საექსპერტო კომისიის წევრების შეუფერხებელი გადაადგილება.
6. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოსგან მიიღოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. საექსპერტო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს საექსპერტო კომისია და ხელს აწერენ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
8. საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა სარეკომენდაციოა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი გათვალისწინება სამინისტროსთვის სავალდებულო არ არის. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებაზე უარი უნდა დასაბუთდეს.

მუხლი 14. ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

1. სამინისტრო, საზოგადოების მონაწილეობის მიზნით, უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ჩატარებას განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 75-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - არაუგვიანეს 47 სამუშაო დღისა). საჯარო განხილვის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. ამ ოქმის სისწორეზე პასუხისმგებელია სამინისტრო.

2. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება სამინისტროს მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

3. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და ინტეგრირებული ნებართვის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომამზადებელი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი.

4. საზოგადოებას უფლება აქვს, განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 85-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - არაუგვიანეს 57-ე სამუშაო დღისა) სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები:

ა) წერილობით;

ბ) ზეპირად, საჯარო განხილვის დროს;

გ) ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

5. საჯარო განხილვის წესი, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და ამ კანონის შესაბამისად, დგინდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

6. სამინისტრო ინტეგრირებული ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უზრუნველყოფს წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვას და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ.

7. სამინისტრო ინტეგრირებული ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ წარმოებაში, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობას, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 84-ე მუხლით დადგენილი წესით.

8. სამინისტრო მიღებულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, მათი მიღებიდან, ხოლო საჯარო განხილვისა დაფიქსირებული შენიშვნების შემთხვევაში - საჯარო განხილვის

შესახებ ოქმის შედგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - 3 სამუშაო დღის ვადაში) უგზავნის საქმიანობის განმახორციელებელს და განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - არაუმეტეს 5 სამუშაო დღის) ვადას, შენიშვნებზე საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად.

მუხლი 15. ინტეგრირებული ნებართვის გაცემა

1. სამინისტრო გასცემს ინტეგრირებულ ნებართვას განაცხადის დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 120 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - 80 სამუშაო დღის ვადაში), თუ საქმიანობა აკმაყოფილებს ამ კანონის და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ინტეგრირებული ნებართვის გაცემისას სამინისტრომ მხედველობაში უნდა მიიღოს:

ა) შესაბამის შემთხვევებში, საქმიანობის განხორციელების ადგილის დათვალიერების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგები;

ბ) გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი სტანდარტები და ემისიის ზღვრული მნიშვნელობები;

გ) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის პრევენცია და შერბილება;

დ) დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები;

ე) საქმიანობა/დანადგარის ტექნიკური/ეკონომიკური მახასიათებლები, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და არსებული მდგომარეობა, ასევე საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დასადგენად საჭირო სხვა მონაცემები.

3. ინტეგრირებული ნებართვის მიღების თაობაზე მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ინტეგრირებული ნებართვის გაცემის შესახებ, ხოლო ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას – საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

4. ინტეგრირებული ნებართვის გაცემიდან ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს ინტეგრირებული ნებართვის გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტის და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

5. ინტეგრირებული ნებართვა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

6. ინტეგრირებული ნებართვის პროექტის ფორმა და შინაარსი მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

7. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სამინისტროს მიერ ამ კანონის შესაბამისად მიღებული ინტეგრირებული ნებართვა, თუ მიიჩნევს, რომ სამინისტრომ

არ უზრუნველყო ამ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობა ან სხვაგვარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 16. ინტეგრირებული ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება

1. მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;

ბ) გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ:

ბ.ა) გარემოზე ზემოქმედება, მისი ხასიათის და მოცულობის გათვალისწინებით, მიუღებელია;

ბ.ბ) გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენცია შეუძლებელია;

ბ.გ) გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელია.

გ) საქმიანობის განხორციელების შეთავაზებული ტექნიკა/ტექნოლოგია არ წარმოადგენს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკას და საქმიანობის განმახორციელებელმა არ წარადგინა ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევის დასაბუთება, ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 17. ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანა

1. სამინისტრო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, ხელახლა განიხილოს ინტეგრირებული ნებართვის პირობები და აუცილებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის საჭიროებაზე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საქმიანობა ან საწარმოო პროცესი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში არ არის გათვალისწინებული და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რაც უზრუნველყოფს ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას;

ბ) ექსპლუატაციის უსაფრთხოება მოითხოვს სხვა ტექნიკის/ტექნოლოგიის დანერგვას;

გ) საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიცა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნები, ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებს ინტეგრირებული ნებართვით დადგენილი ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადახედვას ან ემისიის ახალი ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრას;

ე) შეიცვალა გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი სტანდარტები, რომელთა საფუძველზე საჭიროა ინტეგრირებული ნებართვის პირობების გადახედვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამინისტრო ინტეგრირებული ნებართვის პირობებს განიხილავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების დამტკიცებიდან 4 წლის ვადაში.
3. სამინისტრო საქმიანობის განმახორციელებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ფარგლებშიც საქმიანობის განმახორციელებელმა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უნდა უზრუნველყოს სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა ამ კანონის მე-11-მე-15 მუხლების შესაბამისად.
4. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სამინისტროს აცნობოს საქმიანობის განხორციელების პროცესში დაგეგმილი ნებისმიერი ცვლილების ან გაფართოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე.
5. სამინისტრო ერთი თვის ვადაში დაადგენს, წარმოადგენს თუ არა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება არსებით ცვლილებას.
6. სამინისტრო უფლებამოსილია, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ინტეგრირებულ ნებართვაში, თუ:
 - ა) დაადგენს, რომ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ცვლილება არ არის არსებითი;
 - ბ) სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ, ინსპექტირების საფუძველზე, დადგინდება საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობის შეუსაბამობა ინტეგრირებულ ნებართვაში ასახულ გარემოებებთან და სამინისტრო დაადგენს, რომ აღნიშნული შეუსაბამობა არ არის არსებითი. მოცემულ შემთხვევაში ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს საქმიანობის განმახორციელებელის თანხმობით.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანამდე, სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. დაინტერესებულ საზოგადოებას უფლება აქვს, გადაწყვეტილების შესახებ საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები წარმოადგინოს 7 სამუშაო დღის ვადაში. სამინისტრო განიხილავს წარმოდგენილ შენიშვნებს და მოსაზრებებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხედველობაში იღებს მათ. სამინისტრო მიღებულ გადაწყვეტილებას 5 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.
8. თუ სამინისტრო დაადგენს, რომ ცვლილება არსებითია, გაიცემა ახალი ინტეგრირებული ნებართვა. ამ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული განაცხადი.
9. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ინტეგრირებულ ნებართვაში ასახულ გარემოებებს და აღნიშნულ შეუსაბამობას არ გამოუწვევია გარემოს დაბინძურება, მიწის დეგრადაცია ან გარემოს სხვაგვარი ზიანი, თუ საქმიანობის განმახორციელებელი, ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის მიზნით, საკუთარი ინიციატივით მიმართავს სამინისტროს, მას არ დაეკისრება ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 18. ინტეგრირებული ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემა

1. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვა სრულად სხვა პირს გადასცეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინტეგრირებული ნებართვის გადაცემა გულისხმობს როგორც უფლებების, ისე შესაბამისი მოვალეობების გადაცემას.

2. საქმიანობის განმახორციელებელი და ინტეგრირებული ნებართვის მიმღები ვალდებული არიან, მიმართონ სამინისტროს ერთობლივი განცხადებით, რომელშიც აღინიშნება გადასაცემი ინტეგრირებული ნებართვის რეკვიზიტები. განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) საქმიანობის განმახორციელებელი და ინტეგრირებული ნებართვის მიმღები სუბიექტების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები (ფიზიკური პირისათვის);

ბ) ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ინტეგრირებული ნებართვის გადაცემის ფაქტს.

3. სამინისტრო ინტეგრირებული ნებართვის გადაცემის შესახებ განცხადებას იხილავს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ინტეგრირებული ნებართვის გადაცემის შესახებ გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ინტეგრირებული ნებართვის გადაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების საფუძველზე სამინისტრო გასცემს ახალ ინტეგრირებულ ნებართვას, რომელსაც 5 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ინტეგრირებული ნებართვის მიმღები ვალდებულია შესაბამისი საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების ამოქმედების მომენტიდან.

მუხლი 19. ინტეგრირებული ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადება

1. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა ინტეგრირებული ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია:

ა) საქმიანობის განმახორციელებლის განცხადება;

ბ) თუ საქმიანობის განმახორციელებელი 5 წლის ვადაში არ დაიწყებს ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებულ საქმიანობას;

გ) საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სამინისტროში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას სამინისტრო 5 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 20. საქმიანობის შეწყვეტა

1. ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის საბოლოოდ შეწყვეტისას საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა შეაფასოს სახიფათო ნივთიერებებით ნიადაგის და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების მდგომარეობა.
2. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განხორციელებამ გამოიწვია საბაზისო ანგარიშით დადგენილ მდგომარეობასთან შედარებით ნიადაგის ან/და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები ამ დაბინძურების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოს აღნიშნული ადგილის საბაზისო ანგარიშში მითითებულ მდგომარეობამდე აღდგენა, ტექნიკური განხორციელებადობის შემთხვევაში.
3. თუ საქმიანობის განმახორციელებელს არ მოეთხოვება საბაზისო ანგარიშის მომზადება, საქმიანობის საბოლოოდ შეწყვეტისას საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა აღნიშნული ადგილი მნიშვნელოვან საფრთხეს აღარ უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს, ნიადაგისა ან/და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების გამო.
4. ინტეგრირებული ნებართვის მფლობელი ვალდებულია საქმიანობის შეწყვეტამდე სულ მცირე 6 თვით ადრე შეატყობინოს სამინისტროს საქმიანობის შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

მუხლი 21. ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემა

1. სამინისტრო უფლებამოსილია შექმნას ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემა.
2. ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემის წარმოების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

თავი III

მონიტორინგი და კონტროლი

მუხლი 22. მონიტორინგის მოთხოვნები

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეასრულოს ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული პირობების შესრულების მდგომარეობის თაობაზე მონიტორინგის შედეგებს საქმიანობის განმახორციელებელი, სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წარუდგენს სამინისტროს, ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში.
2. ემისიებთან დაკავშირებული მონიტორინგის მოთხოვნები (მათ შორის გაზომვის მეთოდოლოგია, სიხშირე და შეფასების პროცედურა) უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
3. პერიოდული მონიტორინგის სიხშირე დგინდება ინტეგრირებულ ნებართვაში, სამინისტროს მიერ ინდივიდუალურად, ან ზოგად სავალდებულო წესებში.
4. პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება მინიმუმ 5 წელიწადში ერთხელ მიწისქვეშა წყლებისთვის და მინიმუმ 10 წელიწადში ერთხელ ნიადაგისთვის, გარდა

იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მონიტორინგი დაფუძნებულია დაბინძურების რისკის სისტემატურ შეფასებაზე.

5. სამინისტრო საკუთარ ვებგვერდზე ათავსებს და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის:

ა) სამინისტროში წარმოდგენილი ემისიის მონიტორინგის შედეგებს, ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესაბამისად;

ბ) საქმიანობის საბოლოოდ შეწყვეტის შემთხვევაში - საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციას.

6. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, ინტეგრირებული ნებართვის მოქმედების ვადის ფარგლებში და მისი ვადის გასვლის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში შეინახოს ინტეგრირებულ ნებართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებული პირობების დარღვევაა.

მუხლი 23. ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლი

1. ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტი.

2. დეპარტამენტი შეიმუშავებს გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგიის პროექტს, რომელიც მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული სტრატეგია ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას და განახლებას.

3. გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგია უნდა მოიცავდეს:

ა) მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების ზოგად შეფასებას;

ბ) შესამოწმებელი საქმიანობების ჩამონათვალს;

გ) პროცედურებს გეგმიური გარემოსდაცვითი შემოწმების პროგრამების შედგენისათვის;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

4. გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, დეპარტამენტი შეიმუშავებს და მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიური გარემოსდაცვითი შემოწმების პროგრამას.

5. შემოწმების სიხშირე დაფუძნებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე და არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს ყველაზე მაღალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის და 3 წელიწადს - ყველაზე დაბალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის.

6. შემოწმებისას ინტეგრირებული ნებართვის პირობებთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ამ შემოწმებიდან 6 თვის ვადაში, უნდა განხორციელდეს განმეორებითი გარემოსდაცვითი ინსპექტირება.

7. გარემოსდაცვითი რისკების შეფასება ეფუძნება, სულ მცირე, შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) შესაბამისი საქმიანობების პოტენციური და ფაქტიური ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ემისიების დონეებისა და სახეობების, ადგილობრივი გარემოს თავისებურებების და ავარიების რისკის გათვალისწინებით;
 - ბ) ინტეგრირებული ნებართვის პირობებთან შესაბამისობის ისტორია.
8. გარემოსდაცვითი რისკების შეფასების მეთოდოლოგიას, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამტკიცებს მინისტრი.
9. არაგეგმიური გარემოსდაცვითი ინსპექტირება ტარდება:
- ა) დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალიტეტების, ორგანიზაციების, მოქალაქეების მომართვების/საჩივრების (მათ შორის, „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაციის), შეტყობინებების და სხვა წყაროებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე;
 - ბ) ავარიული სიტუაციების შემთხვევაში, მათ შორის, ავარიული ემისიების წარმოშობის საფუძველზე;
 - გ) ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევის აღმოსაფხვრელად და კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის დადგენილი პირობების შესრულების გადამოწმების მიზნით;
 - დ) საჭიროების შემთხვევაში, ინტეგრირებული ნებართვის გაცემამდე, ხელახალ განხილვამდე ან განახლებამდე, შესაბამისობის დადგენის მიზნით.
10. ინსპექტირების შემდეგ დეპარტამენტის მიერ დგება ინსპექტირების ანგარიში, რომელშიც აისახება მოპოვებული ინფორმაცია ინტეგრირებული ნებართვის პირობებთან შესაბამისობის თაობაზე და ასევე ინტეგრირებული ნებართვის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.
11. ინსპექტირების ანგარიში შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელს წარედგინება ინსპექტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში.
12. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ინსპექტირების შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 24. ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევა

1. ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:
- ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს;
 - ბ) დაუყოვნებლივ მიიღოს ის ზომები, რაც აუცილებელია ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესასრულებლად.
2. დეპარტამენტმა საქმიანობის განმახორციელებელს უნდა მოთხოვოს დამატებითი ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესასრულებლად.
3. იმ შემთხვევებში, როდესაც ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ქმნის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების საშიშროებას, დეპარტამენტი აჩერებს შესაბამისი დანადგარის/მოწყობილობის (მათ შორის წვის დანადგარის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოების) ან მისი შესაბამისი ნაწილის ექსპლუატაციას, შესაბამისობის აღდგენამდე. დანადგარის/მოწყობილობის (მათ შორის წვის დანადგარის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის

საწარმოების) ან მისი შესაბამისი ნაწილის ექსპლუატაციის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს უფრო მეტ საფრთხეს ან საშიშროებას.

4. სამინისტრო უფლებამოსილია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გააუქმოს ინტეგრირებული ნებართვა.

5. სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს საქმიანობის განმახორციელებელს, რომელიც ფლობს ინტეგრირებულ ნებართვას, ასევე შესაბამის დაინტერესებულ ორგანოებს, ინტეგრირებული ნებართვის გაუქმების პროცედურის დაწყების და ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზების შესახებ.

6. საქმიანობის განმახორციელებელს აქვს ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გადაწყვეტილების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

7. ინტეგრირებული ნებართვის გაუქმების შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედებას.

თავი IV

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

მუხლი 25. საქმიანობის განხორციელება ინტეგრირებული ნებართვის გარეშე
საქმიანობის განხორციელება ინტეგრირებული ნებართვის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარიდან 30 000 ლარამდე.

მუხლი 26. ინტეგრირებული ნებართვის პირობების შეუსრულებლობა
ინტეგრირებული ნებართვის პირობების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარიდან 15 000 ლარამდე.

შენიშვნა:

1. ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), დეპარტამენტის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას.

2. ამ შენიშვნის პირველი ნაწილით დეპარტამენტის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), დეპარტამენტის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად განმეორებით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით.

მუხლი 27. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კანონითა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ დადგენილი წესებით.
2. ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს ამ კანონით დადგენილი ვალდებულებებისაგან.
3. ამ კანონის 25-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს დეპარტამენტი.
4. რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ამ კანონის 25-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.
5. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი დამრღვევის მიერ საჩივრდება სასამართლოში.

თავი V

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 28. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ინტეგრირებულ ნებართვას ექვემდებარება ინსინერაციის და თანაინსინერაციის საწარმოები, ასევე ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებზეც გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი 2020 წლის პირველ სექტემბრამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობების განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან 2022 წლის პირველ სექტემბრამდე აიღონ ინტეგრირებული ნებართვა. ინტეგრირებული ნებართვის გაცემამდე სავალდებულოა სამინისტროს წარმომადგენლების (საჭიროების შემთხვევაში, ასევე ექსპერტების) ადგილზე გასვლა და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის დათვალიერება.
2. ინტეგრირებულ ნებართვას ექვემდებარება ინსინერაციის და თანაინსინერაციის საწარმოები, ასევე ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებზეც არ არის გაცემული გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და რომელთა განხორციელებაც დაიწყო 2020 წლის პირველ ივნისამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობების განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან, 2021 წლის პირველ იანვრამდე აიღონ ინტეგრირებული ნებართვა. ინტეგრირებული ნებართვის გაცემამდე სავალდებულოა სამინისტროს წარმომადგენლების (საჭიროების შემთხვევაში, ასევე ექსპერტების) ადგილზე გასვლა და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის დათვალიერება.
3. ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებულ იმ საქმიანობებზე, რომლებზეც 2020 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე სამინისტროში შეტანილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სამინისტრო გასცემს ინტეგრირებულ ნებართვას, ამ კანონით დადგენილი წესით.

4. სამინისტრო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში გადახედოს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ცვლილება შეიტანოს მასში. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის პირობებისა და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინტეგრირებული ნებართვის პირობებს.

მუხლი 29. ამ კანონის საფუძველზე მისაღები და გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობამ:

ა) 2019 წლის პირველ დეკემბრამდე:

ა.ა) დაამტკიცოს ტექნიკური რეგლამენტი “წვის დანადგარების შესახებ”;

ა.ბ) მიიღოს დადგენილება “იმ საქმიანობების შესახებ, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს”.

ბ) 2026 წლის პირველ სექტემბრამდე დაამტკიცოს დასკვნები „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ“ და შემდგომ უზრუნველყოს მათი პერიოდული განახლება და ახალი დასკვნების დამტკიცება.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცეს შემდეგი ბრძანებები:

ა) 2020 წლის პირველ ივნისამდე - „ინტეგრირებული ნებართვის განაცხადის, ინტეგრირებული ნებართვის პროექტისა და შინაარსის შესახებ“;

ბ) 2020 წლის პირველ სექტემბრამდე:

ბ.ა) „ინტეგრირებული ნებართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის შესახებ“;

ბ.ბ) „გარემოსდაცვითი რისკების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 30. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა კანონის პირველი-28-ე მუხლებისა და დანართებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი-მე-21 მუხლები (გარდა ემისიის ზღვრული მნიშვნელობებისა, ასევე, უწყვეტი მონიტორინგის და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის ვალდებულებისა), 28-ე მუხლი და ამ კანონის I-II დანართები ამოქმედდეს 2020 წლის პირველი ივნისიდან.

3. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები წვის დანადგარებისთვის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებისთვის და საქმიანობებისთვის, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს, ამოქმედდეს 2020 წლის პირველი ივნისიდან.

4. ამ კანონის 22-ე-27-ე მუხლები ამოქმედდეს 2020 წლის პირველი სექტემბრიდან.

5. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები, უწყვეტი მონიტორინგის და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის ვალდებულება და ამ კანონის III დანართი ამოქმედდეს 2026 წლის პირველი სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

დანართი I

საქმიანობების ნუსხა

ამ დანართში მოცემული ზღვრები ძირითადად ეხება საწარმოო სიმძლავრეებს ან წარმადობებს. იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე ობიექტზე ხორციელდება ზღვრების შემცველ ერთსა და იმავე საქმიანობის პუნქტში მოყვანილი განსხვავებული წარმადობის მქონე რამდენიმე საქმიანობა, უნდა მოხდეს მათი წარმადობების შეკრება. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების შემთხვევაში აღნიშნული

გაანგარიშება ვრცელდება ამ დანართის 5.1, 5.3(ა) და 5.3(ბ) პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობათა დონეზე.

1. ენერჯის წარმოება

1.1. საწვავის წვა დანადგარებში, რომელთა ჯამური მოხმარებული ნომინალური თერმული სიმძლავრეა 50 მეგავატი ან მეტი;

1.2. ნავთობისა და გაზის გადამუშავება;

1.3. კოქსის წარმოება;

1.4. გაზიფიკაცია ან გათხევადება:

(ა) ნახშირის;

(ბ) სხვა მყარი საწვავის ისეთ დანადგარებში, რომელთა ჯამური მოხმარებული ნომინალური თერმული სიმძლავრეა 20 მეგავატი ან მეტი.

2. ლითონების წარმოება და დამუშავება

2.1. ლითონური მადნის (სულფიდური მადნის ჩათვლით) გამოწვა ან აგლომერაცია;

2.2. თუჯის ან ფოლადის წარმოება (პირველადი ან მეორადი დნობა), უწყვეტი ჩამოსხმის ჩათვლით, რომლის წარმადობა საათში 2.5 ტონას აღემატება;

2.3. შავი ლითონების დამუშავება:

(ა) ცხელი გლინვის დგანების ექსპლუატაცია, საათში 20 ტონაზე მეტი არარაფინირებულ ფოლადის წარმადობით;

(ბ) სამჭედლო უროების ექსპლუატაცია, რომელთა ენერჯია თითოეული უროსთვის 50 კილოჯოულს, ხოლო მოხმარებული თბოუნარიანობა 20 მეგავატს აღემატება;

(გ) დამცავი გამდნარი ლითონური დანაფარის დატანა, სადაც არარაფინირებული ფოლადის მოხმარება საათში 2 ტონას აღემატება;

2.4. შავი ლითონების სამსხმელო საამქროების ექსპლუატაცია, რომელთა საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება;

2.5. ფერადი ლითონების დამუშავება:

(ა) არარაფინირებული ფერადი ლითონების წარმოება მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორადი ნედლეულიდან მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროლიტური პროცესების საშუალებით;

(ბ) ფერადი ლითონების, მათ შორის აღდგენილი პროდუქტების გამოდნობა (ლეგირების ჩათვლით) და ფერადი ლითონების სამსხმელო საამქროების ექსპლუატაცია, სადაც გამოდნობის სიმძლავრე ტყვიისა და კადმიუმისთვის დღე-ღამეში 4 ტონას ან ყველა სხვა ლითონისთვის დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება.

2.6. ლითონების ან პლასტიკური მასალების ზედაპირული დამუშავება ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესების გამოყენებით, სადაც დასამუშავებლად გამოყენებული აბაზანის მოცულობა 30 მ³-ზე მეტია.

3. მინერალური ნედლეულის გადამუშავება

3.1. ცემენტის, კირის და მაგნიუმის ოქსიდის წარმოება:

(ა) ცემენტის კლინკერის წარმოება მბრუნავ გამოწვის ღუმელებში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 500 ტონას, ან სხვა ღუმელებში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება;

(ბ) კირის წარმოება ღუმელებში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება;

(გ) მაგნიუმის ოქსიდის წარმოება ღუმელებში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება.

3.2. აზბესტის ან აზბესტემცველი პროდუქციის წარმოება;

3.3. მინის, მათ შორის მინის ბოჭკოს წარმოება, სადაც გამოდნობის სიმძლავრე დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება;

3.4. მინერალური ნივთიერებების გამოდნობა, მათ შორის მინერალური ბოჭკოს წარმოება, სადაც გამოდნობის სიმძლავრე დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება;

3.5. კერამიკული პროდუქციის, კერძოდ, კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილების, კერამიკული ნაკეთობების ან ფაიფურის წარმოება გამოწვის გზით, სადაც საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 75 ტონას აღემატება ან/და ღუმელის ტევადობა 4მ³-ზე მაღალია და სადაც თითოეულ ღუმელში ჩანატვირთის სიმჭიდროვე 300 კგ/მ³-ზე მეტია.

4. ქიმიური მრეწველობა

4.1. ორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება:

- (ა) მარტივი ნახშირწყალბადები (სწორხაზოვანი ან ციკლური, ნაჯერი ან უჯერი, ალიფატური ან არომატული რიგის) წარმოება;
- (ბ) ჟანგბადშემცველი ნახშირწყალბადების წარმოება, როგორცაა სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, კარბონმჟავები, რთული ეთერები და მათი ნარევი, აცეტატები, მარტივი ეთერები, პეროქსიდები და ეპოქსიდური ფისები;
- (გ) გოგირდშემცველი ნახშირწყალბადების წარმოება;
- (დ) აზოტშემცველი ნახშირწყალბადების წარმოება, როგორცაა ამინები, ამიდები, აზოტ-ნაერთები, ნიტრონაერთები ან ნიტრატ-ნაერთები, ნიტრილები, ციანატები, იზოციანატები;
- (ე) ფოსფორშემცველი ნახშირწყალბადების წარმოება;
- (ვ) ჰალოგენშემცველი ნახშირწყალბადების წარმოება;
- (ზ) მეტალორგანული ნაერთების წარმოება;
- (თ) პლასტიკური მასალების (პოლიმერები, სინთეზური და ცელულოზის საფუძველზე მიღებული ბოჭკო) წარმოება;
- (ი) სინთეზური კაუჩუკის წარმოება;
- (კ) საღებავების და პიგმენტების წარმოება;
- (ლ) ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების და სურფაქტანტების წარმოება.

4.2. არაორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება:

- (ა) აირების წარმოება, როგორცაა ამიაკი, ქლორი ან ქლორწყალბადი, ფტორი ან ფტორწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდები, გოგირდნაერთები, აზოტის ოქსიდები, წყალბადი, გოგირდის დიოქსიდი, კარბონილქლორიდი (ფოსგენი);
- (ბ) მჟავების წარმოება, როგორცაა ქრომის მჟავა, ფტორწყალბადმჟავა, ფოსფორმჟავა, აზოტმჟავა, მარილმჟავა, გოგირდმჟავა, ოლეუმი, გოგირდოვანი მჟავები;
- (გ) ფუძეების წარმოება, როგორცაა ამონიუმის ჰიდროქსიდი, კალიუმის ჰიდროქსიდი, ნატრიუმის ჰიდროქსიდი;
- (დ) მარილების წარმოება, როგორცაა ამონიუმის ქლორიდი, კალიუმის ქლორატი, კალიუმის კარბონატი, ნატრიუმის კარბონატი, პერბორატი, ვერცხლის ნიტრატი;

(ე) არალითონების წარმოება, ლითონის ოქსიდები ან სხვა არაორგანული ნაერთები, როგორცაა კალციუმის კარბიდი, სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი.

4.3. ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან კალიუმისანი სასუქების (მარტივი და კომპლექსური სასუქების) წარმოება;

4.4. მცენარეთა დაცვის საშუალებების ან ბიოციდების წარმოება;

4.5. ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის შუალედური პროდუქტების წარმოება;

4.6. ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება.

5. ნარჩენების მართვა

5.1. დღე-ღამეში 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების განთავსება ან აღდგენა, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე შემდეგ ოპერაციას:

(ა) ბიოლოგიური დამუშავება;

(ბ) ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;

(გ) შერევა, 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ოპერაციის განხორციელებამდე;

(დ) გადაფუთვა, 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ოპერაციის განხორციელებამდე;

(ე) გამხსნელების აღდგენა/რეგენერაცია;

(ვ) არაორგანული მასალების რეციკლირება/აღდგენა, გარდა ლითონების ან ლითონის ნაერთებისა;

(ზ) მჟავების ან ფუძეების რეგენერაცია;

(თ) იმ კომპონენტების აღდგენა, რომლებიც დაბინძურების შესამცირებლად გამოიყენება;

(ი) კატალიზატორებიდან კომპონენტების აღდგენა;

(კ) ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ნარჩენების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება;

(ლ) ზედაპირული ჩაშვება;

5.2. ნარჩენების განთავსება ან აღდგენა ნარჩენების ინსინერაციის ან თანაინსინერაციის საწარმოებში:

(ა) არასახიფათო ნარჩენების შემთხვევაში - როდესაც წარმადობა აღემატება 3 ტონას საათში;

(ბ) სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში - როდესაც წარმადობა აღემატება 10 ტონას დღე-ღამეში;

5.3.

ა) დღე-ღამეში 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსება, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ოპერაციას, ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდასთან დაკავშირებული საქმიანობების გარდა:

ა.ა) ბიოლოგიური დამუშავება;

ა.ბ) ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;

ა.გ) ნარჩენების წინასწარი დამუშავება ინსინერაციის ან თანაინსინერაციის მიზნით;

ა.დ) წიდის და ნაცრის დამუშავება;

ა.ე) ლითონის ნარჩენების, მათ შორის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი კომპონენტების დამუშავება დამქუცმაცებელ დანადგარში.

ბ) დღე-ღამეში 75 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის აღდგენა, ან აღდგენა და განთავსება, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ოპერაციას, ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდასთან დაკავშირებული საქმიანობების გარდა:
ბ.ა) ბიოლოგიური დამუშავება;

ბ.ბ) ნარჩენების წინასწარი დამუშავება ინსინერაციის ან თანაინსინერაციის მიზნით;

ბ.გ) წიდის და ნაცრის დამუშავება;

ბ.დ) ლითონის ნარჩენების, მათ შორის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი კომპონენტების დამუშავება დამქუცმაცებელ დანადგარში.

თუ ნარჩენების დამუშავებისთვის ხორციელდება მხოლოდ ანაერობული დაშლა, წარმადობა უნდა აღემატებოდეს დღე-ღამეში 100 ტონას.

5.4. 25 000 ტონაზე მეტი მთლიანი წარმადობის ნაგავსაყრელები, ასევე ნაგავსაყრელები, სადაც ხორციელდება დღე-ღამეში 10 ტონაზე მეტი ნარჩენების მიღება, გარდა ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელებისა;

5.5. 50 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ დანართის 5.4 პუნქტით, 5.1, 5.2, 5.4 და 5.6 პუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე, გარდა ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე მათი დროებითი შენახვისა;

5.6. სახიფათო ნარჩენების მიწისქვეშ შენახვა, 50 ტ-ზე მეტი მთლიანი წარმადობით.

6. საქმიანობის სხვა სახეები

6.1. სამრეწველო დანადგარებზე შემდეგი პროდუქციის წარმოება:

(ა) ცელულოზა მერქნიდან ან სხვა ბოჭკოვანი მასალებიდან;

(ბ) ქაღალდი ან მუყაო, დღე-ღამეში 20 ტონაზე მეტი წარმადობით;

(გ) ხის პანელები: ორიენტირებულ-ბურბუმელოვანი ფილები, მერქან-ბურბუმელოვანი ფილები ან მერქან-ბოჭკოვანი ფილები, დღე-ღამეში 600 მ³-ზე მეტი წარმადობით.

6.2. საფეიქრო ბოჭკოს ან ქსოვილების წინასწარი დამუშავება (გამოხარშვა, გამოთეთრება, მერსერიზაცია) ან ღებვა, დღე-ღამეში 10 ტონაზე მეტი დამუშავების სიმძლავრით;

6.3. ტყავის თრიმლვა დღე-ღამეში 12 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის წარმადობით;

6.4. (ა) სასაკლაოების ექსპლუატაცია, სადაც ტანხორცის წარმოების მოცულობა დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება;

(ბ) სურსათის ან ცხოველთა კომბინირებული საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი (წინასწარ დამუშავებული ან დაუმუშავებელი) ნედლეულის დამუშავება ან გადამუშავება, შეფუთვის გარდა;

ბ.ა) მხოლოდ ცხოველური წარმოშობის ნედლეული (გარდა რძისა), დღე-ღამეში 75 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის წარმადობით;

ბ.ბ) მხოლოდ მცენარეული წარმოშობის ნედლეული, დღე-ღამეში 300 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის წარმადობით, ან დღე-ღამეში 600 ტონაზე მეტი წარმადობით იმ შემთხვევაში, თუ დანადგარი წელიწადში მუშაობს ზედიზედ არაუმეტეს 90 დღის განმავლობაში;


ბ.გ) ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ნედლეული, როგორც კომბინირებული, ასევე ცალკეული პროდუქტის სახით, სადაც მზა პროდუქციის წარმადობა აღემატება დღე-ღამეში:

- 75 ტონას თუ A უდრის 10-ს ან მეტია; ან
- $[300 - (22,5 \times A)]$ ტონას ნებისმიერ სხვა შემთხვევაში,

აქ 'A' აღნიშნავს მზა პროდუქციის წარმადობაში ცხოველური წარმოშობის მასალის წილს (წონის პროცენტული მაჩვენებლის სახით).

პროდუქტის საბოლოო წონაში შეფუთვის გათვალისწინება არ ხდება.

ეს ქვესექცია არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ნედლეულს მხოლოდ რძე წარმოადგენს.



(გ) მხოლოდ რძის დამუშავება და გადამუშავება, როდესაც დღე-ღამეში მიღებული რძის რაოდენობის საშუალო წლიური მაჩვენებელი აღემატება 200 ტონას.

6.5 ცხოველთა ტანხორცის ან ცხოველური ნარჩენების განთავსება ან რეციკლირება, როდესაც დამუშავების სიმძლავრე დღე-ღამეში 10 ტონას აღემატება;

6.6. ინტენსიური მეფრინველეობა ან მეღორეობა:

- (ა) 40000-ზე მეტი სადგომით ფრინველისთვის;
- (ბ) 2000-ზე მეტი სადგომით (30 კგ-ზე მეტი) სახორცე ღორებისთვის, ან
- (გ) 750-ზე მეტი სადგომით დედა ღორებისთვის (ნეზვებისთვის).

პროექტი

6.7. ნივთიერებების, საგნების ან პროდუქტების ზედაპირული დამუშავება ორგანული გამხსნელებით, კერძოდ, მოპირკეთების, ბეჭდვის, დანაფარის დატანის, გაუცხიმოვნების, ჰიდროიზოლაციის, დაკალიბრების, შეღებვის, გასუფთავების ან გაჟღენთვის მიზნით, სადაც ორგანული გამხსნელების მოხმარების მოცულობა აღემატება საათში 150 კილოგრამს ან წელიწადში 200 ტონას;

6.8. ნახშირბადის ან ელექტროგრაფიტის წარმოება, ინსინერაციის (წვის) ან გრაფიტიზაციის გზით;

6.9. ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) ნაკადების დაჭერა ამ კანონით გათვალისწინებული ობიექტებიდან, გეოლოგიური დასაწყობების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

6.10. მერქნისა და მერქნული პროდუქტის დაცვა ქიმიკატების გამოყენებით, სადაც წარმადობა დღე-ღამეში 75 მ³-ს აღემატება, გარდა მერქნის სილურჯისგან დაცვის მიზნით დამუშავებისა;

6.11. ამ კანონის I დანართით განსაზღვრული საქმიანობების შედეგად ჩაშვებული ჩამდინარე წყლების გაწმენდა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების საშუალებით, გარდა ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებისა.

დანართი II

დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი

ჰაერი

1. გოგირდის ორჟანგი და გოგირდის სხვა ნაერთები;
2. აზოტის ოქსიდები და აზოტის სხვა ნაერთები;
3. ნახშირჟანგი;
4. აქროლადი ორგანული ნაერთები;
5. ლითონები და მათი ნაერთები;
6. მტვერი, წვრილი ნაწილაკების ჩათვლით;
7. აზბესტი (შეწონილი ნაწილაკები, ბოჭკოები);
8. ქლორი და მისი ნაერთები;
9. ფტორი და მისი ნაერთები;

10. დარიშხანი და მისი ნაერთები;

11. ციანიდები;

12. ნივთიერებები და ნარევეები, რომელთაც გააჩნიათ დადასტურებული კანცეროგენული და მუტაგენური თვისებები, ან თვისებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს რეპროდუქციაზე ჰაერის საშუალებით;

13. პოლიქლორირებული დიბენზო-დიოქსინები და პოლიქლორირებული დიბენზო-ფურანები.

14. კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მავნე ნივთიერებები.

წყალი

1. ჰალოგენ-ორგანული ნაერთები და ნივთიერებები, რომლებმაც შესაძლოა წარმოქმნას ასეთი ნაერთები წყლის გარემოში;

2. ფოსფორორგანული ნაერთები;

3. კალაორგანული ნაერთები;

4. ნივთიერებები და ნარევეები, რომელთაც გააჩნიათ დადასტურებული კარცინოგენური და მუტაგენური თვისებები, ან თვისებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს რეპროდუქციაზე წყლის გარემოში ან მისი საშუალებით;

5. მტკიცე ნახშირწყალბადები და მტკიცე და ბიოაკუმულირებადი ორგანული ტოქსიკური ნივთიერებები;

6. ციანიდები;

7. ლითონები და მათი ნაერთები;

8. დარიშხანი და მისი ნაერთები;

9. ბიოციდები და მცენარეთა დაცვის საშუალებები;

10. მასალები შეწონილ მდგომარეობაში;

11. ნივთიერებები, რომლებიც მონაწილეობენ ელტროფიკაციაში (კერძოდ ნიტრატები და ფოსფატები);

12. ნივთიერებები, რომლებსაც გააჩნიათ უარყოფითი ზეგავლენა ჟანგბადის ბალანსზე (და იზომება ისეთი პარამეტრებით, როგორცაა ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება (BOD), ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (COD) და ა.შ.);

13. წყლის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული დამაბინძურებელი ნივთიერებები.

დანართი III

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრის
კრიტერიუმები

1. მცირე ნარჩენების მქონე ტექნოლოგიის გამოყენება;
2. ნაკლებად სახიფათო ნივთიერებების გამოყენება;
3. ტექნოლოგიური პროცესის დროს წარმოქმნილი და გამოყენებული ნივთიერებების, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების აღდგენისა და რეციკლირების ხელშეწყობა;
4. შედარებადი პროცესები, ობიექტები ან ექსპლუატაციის მეთოდები, რომლებიც წარმატებით იქნა გამოყენებული სამრეწველო მასშტაბით;
5. ტექნოლოგიური მიღწევები და ცვლილებები სამეცნიერო ცოდნასა და ცნობიერებაში;
6. ემისიების სახე, ზეგავლენა და მოცულობა;
7. ახალი და არსებული დანადგარების ექსპლუატაციაში შეყვანის თარიღები;
8. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვისთვის საჭირო ვადა;
9. ნედლეულის (წყლის ჩათვლით) სახე, გამოყენება და ენერგოეფექტურობა;
10. გარემოზე ემისიების საერთო ზემოქმედებისა და რისკების პრევენციის ან მინიმუმამდე შემცირების საჭიროება;
11. ავარიების პრევენციისა და გარემოზე მათი ზემოქმედების შედეგების მინიმუმამდე შემცირების საჭიროება;
12. საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„სამრეწველო ემისიების შესახებ“

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველოს აღებული აქვს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად, დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას სამრეწველო დაბინძურებისა და სამრეწველო საფრთხეების სფეროში. ამ მიზნით ეროვნულ კანონმდებლობაში ჰარმონიზებულ უნდა იქნეს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივის შემდეგი დებულებები: - ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა; - სამრეწველო ობიექტების განსაზღვრა, რომლებიც ნებართვას საჭიროებენ; - ინტეგრირებული სანებართვო სისტემის განხორციელება (მუხლები 4-6, 12, 17(2), 21 და 24 და დანართი IV); - სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება (მუხლი 8, 14(1)(d) და 23(1)); - საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელოებში მოყვანილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების გათვალისწინებით (მუხლი 14 (3-6) და 15 (2-4)); - წვის ქარხნებისთვის გაფრქვევის ზღვრული ნორმების ლიმიტების დაწესება (მუხლი 30 და დანართი V); - გარდამავალი ეროვნული გეგმების შემუშავება არსებული ქარხნებიდან მთლიანი ყოველწლიური ემისიის შემცირების მიზნით (არსებული ქარხნებისათვის ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დაწესება ნებაყოფლობითია) (მუხლი 32).

აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე დამოზღვივების პროექტის (GE 14 ENI EN 02 16 (GE/24) ფარგლებში შემუშავდა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის 2010/75/EU დირექტივის მოთხოვნებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

ვინაიდან „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებისათვის საჭიროა ახალი სამართლებრივი რეჟიმის შექმნა, მათ შორის, ახალი სახის ნებართვის და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შემოღება (რაც, თავის მხრივ, აუცილებელს ხდის სხვა საკანონმდებლო აქტებში შესაბამისი ის შეტანას), სამრეწველო ემისიების შესახებ მიღებული უნდა იქნას კანონი, რათა მასთან ერთად, საკანონმდებლო პაკეტის ფორმატით, ასევე ცვლილებები შევიდეს სხვა შესაბამის კანონებშიც.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად მოხდება სამრეწველო საქმიანობებიდან გარემოს დაბინძურების პრევენციის/შემცირების მიმართულებით ეროვნული

კანონმდებლობის სრულყოფა და იგი შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის დირექტივებთან. ასევე, ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის პრინციპების შესაბამისად, ქვეყანაში დაინერგება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი ადგენს ინტეგრირებული ნებართვის ფლობის ვალდებულებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების პოტენციალის მქონე ისეთი სამრეწველო საქმიანობებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010/75/EU დირექტივის პირველი დანართით. კანონპროექტის მიღებით ჩამოყალიბდება ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა. ამასთან კანონპროექტი სრულად შეესაბამება და ეყრდნობა აღნიშნული დირექტივის პრინციპებს:

- **ინტეგრირებული მიდგომა:** ობიექტების რეგულირება ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედებას მთლიანობაში, მათ შორის, ემისიებს ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, ნარჩენების წარმოქმნას, ნედლეულის გამოყენებას, ენერგოეფექტურობას, ხმაურს, ავარიების პრევენციასა და ექსპლუატაციის ადგილის აღდგენას ობიექტის საბოლოო დახურვის შემდგომ.
- **საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა (BAT):** ნებართვების გაცემა ობიექტებისათვის და ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ და ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო დოკუმენტებს (BREFs).
- **მოქნილობა:** ნებართვის გამცემი უწყებებისათვის საშუალების მიცემის გზით, რომ განსაზღვრონ ემისიის ნაკლებად მკაცრი ზღვრული მნიშვნელობები იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც შეფასება გვიჩვენებს, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკასთან (როგორც ისინი აღწერილია დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ხერხების შესახებ) დაკავშირებული ემისიების დონეების მიღწევა გამოიწვევდა გარემოსდაცვით სარგებლებთან მიმართებაში არაპროპორციულად მაღალ ხარჯებს, გეოგრაფიული მდებარეობის, ან ადგილობრივი გარემოსდაცვითი პირობების, ან ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების გამო.
- **გარემოსდაცვითი შემოწმების სისტემა:** წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან გარემოსდაცვითი შემოწმების სისტემა და შეადგინონ შემოწმების გეგმები. ობიექტებზე ვიზიტები უნდა განხორციელდეს **მინიმუმ ყოველ 1-3 წელიწადში ერთხელ**, სიხშირის დასადგენად რისკზე დამყარებული კრიტერიუმების გამოყენებით.
- **საზოგადოების მონაწილეობა:** საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და საზოგადოების ინფორმირება მისი შედეგების შესახებ, ნებართვების მიღებაზე განაცხადების, გაცემული ნებართვების, ემისიების მონიტორინგის შედეგების ხელმისაწვდომობის გზით.

კანონპროექტი ეფუძნება დირექტივის პირველ და მე-2 თავებს და შესაბამის დანართებს (პირველი, მე-2, მე-3, მე-4) და განსაზღვრავს ინტეგრირებულ

გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალს, ადგენს ინტეგრირებული ნებართვის გაცემის წესს, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრის კრიტერიუმებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპებს. რაც შეეხება დირექტივის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 თავებსა და შესაბამის დანართებში (მე-5, მე-6, მე-7 და მე-8) აღწერილ სპეციალურ დარგობრივ დებულებებს წვის დანადგარების შესახებ, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის შესახებ და საქმიანობებისა და ობიექტების შესახებ, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს, ისინი დამტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სახით.

იმ სამრეწველო საქმიანობის განმახორციელებლებს, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის პირველი დანართი, მოეთხოვებათ ინტეგრირებული ნებართვის მოპოვება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან. შესაბამისად, რეგულირების ქვეშ მოექცევა ყველა სამრეწველო საქმიანობა (მასშტაბისა და კატეგორიის მიხედვით), რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ინტეგრირებულობის პრინციპი გულისხმობს, ასევე, მხოლოდ ერთი ინტეგრირებული ნებართვის არსებობას საქმიანობის განმახორციელებლისთვის, რომელშიც გაერთიანდება ყველა გარემოსდაცვითი საკითხი და რომელიც ჩაანაცვლებს ყველა შესაბამის აღმჭურველ აქტს. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეუმცირებს საქმიანობის განმახორციელებელს ბიუროკრატიულ ტვირთს და სამინისტროსთან ურთიერთობაზე დახარჯულ დროს.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ საქმიანობათა უმრავლესობა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის გავლას და შესაბამისად, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. ასეთი ობიექტებისთვის ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემის ამოქმედების შემდეგ გაიცემა მხოლოდ ინტეგრირებული ნებართვა, რომლის ერთ-ერთი ნაწილი იქნება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობები. ახალი სისტემა ამოქმედდება „ერთი სარკმლის“ პრინციპით და ინტეგრირებული ნებართვის მაძიებელი, რომელსაც ამავდროულად ესაჭიროება გარემოზე ზემოქმედების შეფასება, საერთო განცხადებით მომართავს სამინისტროს.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ახალი პრინციპი, რომელიც კანონპროექტს შემოაქვს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ცნებაა, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებული ნებართვის პირობები. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა - საქმიანობის განხორციელების და შესაბამისი მეთოდების განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მოწინავე ეტაპია, რომელიც ინტეგრირებული ნებართვის ისეთი ეფექტური და მოქნილი პირობების (ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სხვა) დადგენის საშუალებას იძლევა, რომლებიც მიმართულია ემისიებისა და მთლიანობაში გარემოზე ზემოქმედების პრევენციისკენ, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, შემცირებისკენ.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გადაწყვეტილების პირობებად გამოყენების პრინციპი, ქვეყანაში მოქმედი მოძველებული გარემოსდაცვითი ნორმებისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების რეგულირებას არამხოლოდ მთლიანად საწარმოდან, არამედ იძლევა თითოეული ემისიის წყაროს დონეზე

ქმედითი ინტერვენციის საშუალებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ფოკუსირებას დაბინძურების მიზეზებზე და არამხოლოდ შედეგებზე.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვით გაჩნდება ასევე გარემოს დიფუზიური (დისპერსიული) დაბინძურების წყაროების, როგორცაა, მაგალითად, ნაგავსაყრელები, ნაყარი ტვირთების ოპერირება, ფერმები რეგულირების უფრო ეფექტური მექანიზმი. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დარგობრივი ინფორმაცია თავმოყრილია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელოებში, რომლის შემუშავებაც ხორციელდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და სამრეწველო სექტორს შორის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე. აღნიშნულ დინამიურ პროცესს წარმართავს დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის (IPPC) ბიურო, რომელიც განთავსებულია ქ. სევილიაში (ესპანეთი). სახელმძღვანელოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ, რომლებიც მტკიცდება ევროკავშირის მიერ და წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგიები ვითარდება, ხოლო მათი გამოყენების მეთოდები სულ უფრო იხვეწება და იცვლება, ინფორმაციის გაცვლა და სახელმძღვანელოების/დასკვნების განახლება უწყვეტი პროცესია. დასკვნების განახლების პროცესს თან უნდა სდევდეს სამინისტროს მიერ გაცემული ინტეგრირებული ნებართვის გადახედვის და განახლების პროცესები. შესაბამისად, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა უზრუნველყოფს სამრეწველო სექტორის ახალ ტექნოლოგიებზე მუდმივად ორიენტირებულობას და ქვეყანაში „მწვანე ეკონომიკის“ სტიმულირებას.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვა, კანონპროექტის მიხედვით, განხორციელდება 2026 წლიდან, ხოლო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა ამოქმედდება 2020 წლიდან, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოცირების ხელშეკრულებაში. 2020 წლიდან 2026 წლამდე პერიოდში გაცემულ ყველა ინტეგრირებულ ნებართვაში აისახება საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე შემუშავებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის ვადაში გაწერილი გეგმა, რომელიც დასაბუთებული იქნება შესაბამისი არგუმენტაციით. აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს სამრეწველო სექტორს ახალ სისტემასთან ეტაპობრივად ადაპტირებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა გულისხმობს ნედლეულისა და ენერჯის ეფექტურ მოხმარებასა და კონტროლსაც, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დანაკარგების თავიდან აცილებას და ორმაგი სარგებელის მომტანია მეწარმეებისთვისაც. როგორც უკვე აღინიშნა, ცვლილებები შეეხება მხოლოდ მსხვილ სამრეწველო სექტორს, რომლის დიდი ნაწილისთვისაც ქვეყანაში მოქმედი გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა წარმოადგენს კომპანიის იმიჯისა და პრესტიჟის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნების გამოქვეყნების შემდეგ, საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაფუძნებული ინტეგრირებული ნებართვაც პერიოდულ გადახედვას დაექვემდებარება, შესაბამისად გაჩნდება ცვლილებებზე მორგებული და პროგრესზე ორიენტირებული ინტეგრირებული ნებართვის „ცოცხალი“ და ქმედითი სისტემა, განსხვავებით ამჟამად მოქმედი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისგან, რომელიც სავალდებულო გადახედვას და კორექტირებას არ ითვალისწინებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინტეგრირებულ ნებართვას ექვემდებარება არამარტო ახალი, არამედ არსებული ობიექტები, მათ შორის გარემოსდაცვითი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე საქმიანობები. ამასთან, კანონპროექტის თანახმად, სამინისტრო ასევე უფლებამოსილია, ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში გადახედოს ამ კანონის ამოქმედებამდე გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გამოცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ცვლილება შეიტანოს მასში. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის პირობებისა და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინტეგრირებული ნებართვის პირობებს. ასეთი მოქნილი მექანიზმის დანერგვა უზრუნველყოფს ინტეგრირებული ნებართვის გაცემას არსებული რეალობის მაქსიმალური გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს პირობების შემდგომ აღსრულებას და კონტროლს როგორც სამეწარმეო სექტორისთვის, ისე სამინისტროსთვის და აღმოფხვრის აქამდე ამ მიმართულებით არსებულ სირთულეებს.

კანონპროექტის თანახმად მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს ზოგადი სავალდებულო წესები ცალკეული დარგებისთვის. ზოგადი სავალდებულო წესები წარმოადგენს დარგობრივ დონეზე განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს, საექსპლუატაციო პირობებს, ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დიაპაზონს და სხვა პირობებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას უშუალოდ ინტეგრირებული ნებართვის პირობების განსაზღვრის მიზნით. ზოგადი სავალდებულო წესები თანაბარ პირობებში აყენებს სამრეწველო სექტორს. თუმცა ახალი სისტემა არ გამორიცხავს, ასევე, საწარმოებთან ინდივიდუალურად მიდგომის საშუალებას.

განსხვავებით დღეს მოქმედი სისტემისგან, კანონპროექტი ადგენს ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევის შესაძლებლობას და იძლევა ემისიის ნაკლებად მკაცრი ზღვრული მნიშვნელობების გამოყენების შესაძლებლობას. ახალი სისტემა განსაზღვრავს ასევე გარკვეული წახალისების მექანიზმს ინტეგრირებული ნებართვის მფლობელი ობიექტებისთვის ინოვაციური ტექნიკის გამოცდა/გამოყენების მიზნით. ასეთ შემთხვევაშიც, სამინისტრო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვის მფლობელისთვის დაუშვას გამონაკლისი ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული ნებართვის განაცხადისა და ინტეგრირებული ნებართვის პროექტის ფორმები დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით. შესაბამისად, ასეთი უნიფიცირებული ფორმები გაუადვილებს ინტეგრირებული ნებართვის მაძიებელს სამინისტროსთან ურთიერთობას.

ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა გულისხმობს, ასევე სათანადო მონიტორინგისა და კონტროლის წარმოებას, მათ შორის, ინტეგრირებული ნებართვით განსაზღვრული პირობების თვითმონიტორინგს. ემისიებთან დაკავშირებული მონიტორინგის მოთხოვნები (მათ შორის გაზომვის მეთოდოლოგია, სიხშირე და შეფასების პროცედურა) უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლს კანონპროექტის მიხედვით, განახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. კონტროლის სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე და მისი სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს ყველაზე მაღალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის და 3 წელიწადს ყველაზე დაბალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის მაქსიმალურ საჯაროობას და საზოგადოების ჩართულობას ინტეგრირებული ნებართვის პროცედურის ყველა ეტაპზე. კანონპროექტის თანახმად, სამინისტრო უზრუნველყოს ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადის შესახებ ინფორმაციის, ასევე ინტეგრირებული ნებართვის გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. სამინისტრო უზრუნველყოფს, ასევე, საჯარო განხილვის ჩატარებას, საზოგადოების მონაწილეობის მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტრო საკუთარ ვებგვერდზე ათავსებს და ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოებისათვის ემისიის მონიტორინგის შედეგებს, ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესაბამისად და საქმიანობის საბოლოოდ შეწყვეტის შემთხვევაში საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენის ზომების შესახებ ინფორმაციას.

იზრდება გადაწყვეტილების გასაცემად აუცილებელი ვადების და შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან სამინისტროსთვის შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადაც. სამინისტრო გასცემს ინტეგრირებულ ნებართვას განაცხადის რეგისტრაციიდან 120 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - 80 სამუშაო დღის ვადაში). საზოგადოებას უფლება აქვს, განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 85-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - არაუგვიანეს 57 სამუშაო დღისა) სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები.

კანონპროექტი შედგება ხუთი თავისა და 30 მუხლისაგან, ამასთან და ერთვის 3 დანართი: დანართი I - ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული

საქმიანობების ნუსხა, დანართი II - დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი, დანართი III - საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრის კრიტერიუმები.

პირველი თავი - ზოგადი დებულებები. აღნიშნულ თავში განსაზღვრულია კანონის რეგულირების საგანი, მოცემულია ტერმინთა განმარტებები და განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილება სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროში. ამავე თავში ჩამოყალიბებულია ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპები.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტს შემოაქვს საერთაშორისო პრაქტიკაში დაკვიდრებული ახალი ტერმინები: „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა“, „საუკეთესო ხელმისაწვდომის ტექნიკის სახელმძღვანელო“, „დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ“, „ემისიის ზღვრული მნიშვნელობები“, „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიის დონეები“, „საბაზისო ანგარიში“, „ზოგადი სავალდებულო წესები“, რომლებიც წარმოადგენს გარემოს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის (IPPC) სისტემის იმპლემენტაციის უმთავრეს ელემენტებს და საფუძვლად უდევს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ დირექტივის იმპლემენტაციას.

სიახლეს წარმოადგენს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად საბაზისო ანგარიშის (ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის) წარმოდგენის ვალდებულება, რომელიც ვრცელდება იმ საქმიანობაზე, რომელიც ითვალისწინებს კანონპროექტის დანართი II-ით გათვალისწინებული ნივთიერებების გამოყენებას, წარმოებას ან გარემოში მოხვედრას. საბაზისო ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის გამოყენების შესახებ და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ნიადაგსა და მიწისქვეშა წყლებზე ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ არსებულ ინფორმაციას. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განხორციელებამ გამოიწვია საბაზისო ანგარიშით დადგენილ მდგომარეობასთან შედარებით ნიადაგის ან/და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები ამ დაბინძურების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოს აღნიშნული ადგილის საბაზისო ანგარიშში მითითებულ მდგომარეობამდე აღდგენა, ტექნიკური განხორციელებადობის შემთხვევაში.

კანონპროექტის მოცემული თავი ადგენს ასევე ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევის წესს და განსაზღვრავს საქმიანობის განმახორციელებლისთვის ინცინდენტის/ავარიის პრევენციისა და მათი შედეგების შერბილების ვალდებულებებს.

მეორე თავი - ინტეგრირებული ნებართვის გაცემა. მოცემული თავი განსაზღვრავს ინტეგრირებული ნებართვის გაცემის წესს, კერძოდ, ადგენს მოთხოვნებს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო განაცხადთან დაკავშირებით და განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების წესს, რომელიც გულისხმობს საექსპერტო კომისიის

შექმნისა და ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ეტაპებს. პროცედურა ძირითადად ხორციელდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად. გახანგრძლივებულია მხოლოდ პროცედურის ვადა 120 დღემდე და შემოდის დაჩქარებული მომსახურების პროცედურა, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების 80 სამუშაო დღის ვადაში გაცემას.

კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა ასევე ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საქმიანობაზე გაიცემა ინტეგრირებული ნებართვა. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ განაცხადს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად მომზადებული გზშ-ის ანგარიში. პროცედურა მიმდინარეობს კანონპროექტის შესაბამისად ზემოაღნიშნული ვადების დაცვით, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განსაზღვრული პირობები აისახება ინტეგრირებულ ნებართვაში.

ვრცელი საინფორმაციო მასალის სათანადოდ შესწავლა/შეფასების პარალელურად, კანონპროექტით განსაზღვრული პროცედურული ვადა უზრუნველყოფს ასევე საზოგადოების უფრო ეფექტურ ჩართულობასაც, რომელსაც ეძლევა გაცილებით დიდი პერიოდი (სულ ცოტა 78 სამუშაო დღე, ხოლო დაჩქარებული მომსახურების შემთხვევაში - 50 სამუშაო დღე) სამინისტროსთვის მოსაზრებებისა და შენიშვნების წარსადგენად.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული ნებართვის მაძიებლის მიერ ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა დაერთოს ასევე ინტეგრირებული ნებართვის პროექტი. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ჩართულია გადაწყვეტილების ფორმულირების და გაცემის პროცესში უკვე საწყის ეტაპზე და საზოგადოებისთვის განაცხადის წარდგენისთანავე ხელმისაწვდომია არამხოლოდ განაცხადი, არამედ გადაწყვეტილების პროექტიც, რაც უფრო გამჭვირვალეს და ქმედითს ხდის ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცედურას.

მეორე თავი ასევე ადგენს ინტეგრირებული ნებართვის გაცემისა და გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის პირობებს. მოცემული თავი აყალიბებს იმ გარემოებათა ნუსხასაც, რომელიც ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის საფუძველს წარმოადგენს, მათ შორის:

- ა) როდესაც საქმიანობა ან საწარმოო პროცესი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში არ არის გათვალისწინებული და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რაც უზრუნველყოფს ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას;
- გ) საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიცა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნები;
- დ) გარემოს დაბინძურების შემთხვევაში, საჭიროა ინტეგრირებული ნებართვით დადგენილი ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადახედვა ან ემისიის ახალი ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრა;

ე) შეიცვალა გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი სტანდარტები, რომელთა საფუძველზე საჭიროა ინტეგრირებული ნებართვის პირობების გადახედვა.

ჩამოთვლილი გარემოებებიდან ნათელია, რომ ინტეგრირებული ნებართვა იქნება ეფექტიანი და მოქნილი გარემოსდაცვითი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ტექნიკურ პროგრესთან და გარემოსდაცვითი რეგულაციების ცვლილებებთან ეტაპობრივად ადაპტირებას.

მეორე თავი მოიცავს ასევე მუხლებს ინტეგრირებული ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისგან“ განსხვავებით, კანონპროექტი ითვალისწინებს ინტეგრირებული ნებართვის სხვა პირისთვის მხოლოდ სრულად გადაცემას. მოცემული მიდგომა ითვალისწინებს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ დირექტივისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების პრინციპებს აგრეგაციისა და შეკრების შესახებ, რომლებიც გულისხმობს საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული დანადგარების სიმძლავრეთა შეჯამებას და სათანადოდ მკაცრი პირობების/ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დადგენას ჯამური სიმძლავრის საფუძველზე. შედეგად, გადაწყვეტილების პირობებში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების კუმულაციური ეფექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტეგრირებული ნებართვის ნაწილობრივი გადაცემის შედეგად საწარმოო სიმძლავრეების და შესაბამისად, პასუხისმგებლობის „დანაწევრებამ“ შესაძლებელია გამოიწვიოს საწარმოო სექტორის მხრიდან გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ან/და შერბილების რისკი.

როგორც უკვე აღინიშნა, ასევე დამტკიცდება ინტეგრირებული ნებართვის განაცხადისა და ინტეგრირებული ნებართვის პროექტის ფორმები, რომლებიც დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით. ასეთი ფორმების შექმნა მიმართულია ინტეგრირებული ნებართვის მაძიებლისთვის სამინისტროსთან ურთიერთობის მაქსიმალურად გაადვილებისკენ.

მესამე და მეოთხე თავები. მესამე თავი მოიცავს მონიტორინგისა და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლის მექანიზმს, ასევე ადგენს ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევით გამოწვეული ადმინისტრაციული საქმისწარმოებისა წესსა და სახდელს.

მონიტორინგი გულისხმობს როგორც ინტეგრირებული ნებართვით განსაზღვრული პირობების თვითმონიტორინგს, რომლის სიხშირე დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით ან ზოგადი სავალდებულო წესებით, ისე ემისიებთან დაკავშირებულ მონიტორინგსაც, რომლის მოთხოვნები (მათ შორის გაზომვის მეთოდოლოგია, სიხშირე და შეფასების პროცედურა) უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს.

ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლის სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე და მისი სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს ყველაზე მაღალი რისკების მქონე

საქმიანობებისთვის და 3 წელიწადს ყველაზე დაბალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ინსპექტირება განხორციელდება ინტეგრირებული ნებართვის გაცემამდე, ხელახალ განხილვამდე ან განახლებამდე შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მეხუთე თავი - გარდამავალი და დასკვნითი დებულებები. როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტი შესაბამისობაშია 2010/75/EU დირექტივის პირველ და მე-2 თავებსა და შესაბამის დანართებთან (პირველი, მე-2, მე-3, მე-4). დირექტივის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 თავებსა და შესაბამის დანართებში (მე-5, მე-6, მე-7 და მე-8) მოყვანილი სპეციალური დარგობრივი დებულებები კი დამტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კანონის ძირითადი ნაწილის ამოქმედება (გარდა ემისიის ზღვრული მნიშვნელობებისა, უწყვეტი მონიტორინგის და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის ვალდებულებისა) დაგეგმილია 2020 წლის პირველი სექტემბრიდან, ხოლო ემისიის ზღვრული მნიშვნელობების, უწყვეტი მონიტორინგის და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის ვალდებულება ამოქმედდება 2026 წლის პირველი სექტემბრიდან.

ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებულ იმ საქმიანობებზე, რომლებზეც 2020 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე სამინისტროში შეტანილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, გაცემა ინტეგრირებული ნებართვა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ემისიის ზღვრული მნიშვნელობები წვის დანადგარებისთვის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებისთვის და საქმიანობებისთვის, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს, ამოქმედდება 2020 წლის პირველი ივნისიდან. კანონის ამოქმედების ვადები გამომდინარეობს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებიდან.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

კანონპროექტი ეხმიანება 2018-2020 წწ. სამთავრობო პროგრამის („თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“) 2.11.4 თავში (გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა) ასახულ მიზანს, რომლის მიხედვითაც „გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევისა და წყლის გამოყენების აღრიცხვის სისტემები. გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დადგინდება გაფრქვევის ევროპული ნორმები, გაუმჯობესდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები, მსხვილ სამრეწველო ობიექტებს დაუდგინდებათ გაფრქვევის თანამედროვე ევროპული ნორმები“.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება; კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია ეტაპობრივად. ამასთან, ცალკეული მუხლების ძალაში შესვლის თარიღები შერჩეულია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებისათვის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვადების მიხედვით.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას); ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აუცილებელი იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინტეგრირებული ნებართვის პროცედურის უზრუნველყოფისათვის სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყოფა.

კანონპროექტის შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმებაში, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა და შესაბამისობის მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმი უნდა დაინერგოს 2020 წლის 1 სექტემბრისთვის. ამასთან, სამინისტრო უფლებამოსილია შექმნას ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემა. საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისას, სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ეს საკითხები 2020 წლის ბიუჯეტში და განსაზღვროს იმ თანხების სავარაუდო რაოდენობა, რომლებიც აუცილებელი იქნება სამრეწველო საქმიანობების ინტეგრირებული ნებართვების გაცემისა და შემოწმების განხორციელებისათვის.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 2026 წლამდე საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების ეტაპობრივი თარგმნისთვის აუცილებელი ხარჯიც. საჭირო იქნება დღეის მდგომარეობით ევროკავშირის მიერ დამტკიცებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების 14 დოკუმენტის (დაახლოებით 600 გვერდი) ინგლისური ენიდან თარგმნა.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი განსაზღვრავს გადაწყვეტილების პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სქემას და შესაბამის ზომებს. აქედან გამომდინარე, კანონპროექტით განსაზღვრული ახალი რეგულაციების შემოღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას.

ინტეგრირებული ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად განისაზღვრება ჯარიმა, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. თუმცა, ბიუჯეტში ჯარიმის სახით შესული თანხის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან ეს დამოკიდებულია მოსალოდნელი სამართალდარღვევების რაოდენობაზე და სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზეგავლენის შეფასებისას უნდა მივიღოთ მხედველობაში ასევე პოტენციური ახალი ობიექტებიც. ექსპლუატაციაში არსებული სამრეწველო ობიექტების რაოდენობა, IED ობიექტების ჩათვლით, დამოკიდებულია ეკონომიკურ ციკლზე. არსებობს ალბათობა, რომ მოხდება ახალი განაცხადების წარდგენა ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად, თუ მიმდინარე ეკონომიკური ექსპანსიის პერიოდი საქართველოში გაგრძელდება ისე, როგორც ეს პროგნოზირებულია (მშპ-ის ზრდა 2017-2018 წწ. საქართველოში შეფასებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის¹ მიერ შესაბამისად 4.0 % და 4.2 %-ის დონეზე, ხოლო საშუალოვადიანი პროგნოზი 2022 წლისთვის შეადგენს 5.5%-ს). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ განხორციელებული რამდენიმე კვლევის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ შერჩეული ქვეყნებისთვის არსებობს მჭიდრო კავშირი სამრეწველო წარმოების ციკლურ პროფილებსა და მშპ-ს შორის (რონი ნილსონი, 1987; OECD 1996; OECD, 1998; OECD, 2002; OECD, 2006a; OECD 2006b). აღნიშნულის შედეგად, ყოველწლიური განაცხადების რაოდენობა პოტენციური ახალი სამრეწველო ობიექტებისთვის, 2018-2022 წწ. შეიძლება მიახლოებით შევაფასოთ, როგორც არსებული ობიექტების 4-5 %.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

„სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონის მიღებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება მისი განხორციელებისათვის საჭირო ზომები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტისა და სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების ჩათვლით, ადამიანური რესურსების კუთხით.

ახალი კანონის მოთხოვნების შესასრულებლად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე აუცილებელია, რომ გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ინტეგრირებული მართვის სამმართველოს საშტატო ნუსხა, 2020 წელს, გაძლიერდეს, სულ მცირე, 5 საშტატო ერთეულით (უფროსი სპეციალისტი).

¹ საერთაშორისო სავალუტო ფონდი. 2017. *სტაბილური ზრდის ძიებაში: მოკლევადიანი გამოსწორება, გრძელვადიანი გამოწვევები*. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, ოქტომბერი.

<http://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/09/19/world-economic-outlook-october-2017>

მეორეს მხრივ, კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს 2020 წლის 1 სექტემბრამდე, არის შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა (IED-ის მუხლები 8, 14(1)(დ) და 23); აღნიშნული მიზნისათვის უნდა შეიქმნას შემოწმების სისტემა და მოხდეს შემოწმების გეგმების შემუშავება, როგორც ეს განსაზღვრულია IED-ის 23-ე მუხლში და წარმოდგენილი კანონპროექტით. შემოწმება დამყარებული უნდა იყოს შესაბამისი ობიექტების გარემოსდაცვით რისკებზე და არ უნდა აღემატებოდეს 1 წელიწადს ყველაზე მაღალი რისკის მქონე ობიექტებისათვის და 3 წელიწადს - ყველაზე დაბალი რისკის მქონე ობიექტებისათვის. შემოწმებებთან დაკავშირებული აღნიშნული დებულებების განხორციელების სფეროში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე, წინასწარი მიახლოებითი შეფასების თანახმად, ობიექტების შესაბამისად 75%, 20% და 5% წარმოადგენს დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის ობიექტებს. იმავე გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე, ერთი შემოწმების საშუალო ხანგრძლივობაა 20 სამუშაო დღე, წინასწარი დოკუმენტების ანალიზის, ადგილზე ვიზიტისა და ანგარიშების ჩათვლით.

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. გამომდინარე იქედან, რომ აუცილებელია აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, იმისთვის, რომ კანონპროექტით დადგენილი რეგულაციები პრაქტიკაში რეალურად აღსრულდეს, საჭიროა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერება ადამიანური რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ეს დეპარტამენტი იქნება პასუხისმგებელი ინტეგრირებული ნებართვის გარეშე საქმიანობის აღკვეთაზე და ინტეგრირებული ნებართვის პირობების კონტროლზე, რაც დღეს აღნიშნულ დეპარტამენტში არსებული რესურსებით წარმოუდგენელია. შესაბამისად, აუცილებელია დეპარტამენტს დაემატოს 16 ინსპექტორის სამტატო ერთეული და გამოიყოს თანხები შემდეგი ოდენობით: 16 ინსპექტორის შრომის ანაზღაურება - 258.0 ათ. ლარი; ინსპექტორების აღჭურვილობა - 23.0 ათ. ლარი; უნიფორმა - $16 \times 800 = 14.0$ ათ. ლარი; საოფისე ტექნიკა (კომპიუტერები, პრინტერ/სკანერები, მაცივრები ლაბ. მასალისთვის) - 23.0 ათ. ლარი; საოფისე ავეჯი, სხვადასხვა საოფისე საქონელი - 10.0 ათ. ლარი; პერსონალის დაზღვევის ხარჯი - $16 \times 30 \times 12 = 6.0$ ათ. ლარი; ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი - $16 \times 10 \times 12 = 2.0$ ათ. ლარი; ექსპერტიზისა და ლაბორატორიული კვლევების ხარჯი - 140.0 ათ. ლარი; მივლინება - 23.0 ათ. ლარი. ჯამში, საჭირო იქნება 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 499.0 ათ. ლარის გამოყოფა.

კანონპროექტის თანახმად, სამინისტრო უფლებამოსილია შექმნას ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროში გარემოსდაცვითი მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნის მიმართულებით უკვე მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები. სისტემის დანიშნულებას ცენტრალურ და რეგიონულ მართვის სტრუქტურებსა და მათთან დაკავშირებულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა და საზოგადოებისათვის ამ მონაცემებთან წვდომის გაუმჯობესება. იგი მოიცავს არსებულ მონაცემთა ბაზების ინტეგრირებას, თავსებადობას ახალ სისტემასთან. ეს ეხება მონაცემთა ბაზების ინტეგრირებას ერთიან სისტემაში, რაც საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ცალკეული

სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის სანაცვლოდ ისინი მოიძიოს, დაამუშავოს და გაანალიზოს ერთ სისტემაში თავმოყრილი ინფორმაციის საფუძველზე, რაც ცხადია, როგორც დროის დაზოგვის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, აგრეთვე უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის გამართული, შეუფერხებელი ფუნქციონირების არსებით წინაპირობას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტით დგინდება ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად გადასახდელი მოსაკრებელი - 5000 ლარი (დაჩქარებული მომსახურებისას - 7500 ლარი). შესაბამისად, აღნიშნული თანხის გადახდა მოუწევთ შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ პირებს. აქვე აღსანიშნავია, რომ არსებული ობიექტების სავარაუდო რაოდენობა, რომელიც ინტეგრირებულ ნებართვას საჭიროებს, არის დაახლოებით 200-250. ასევე მხედველობაშია მისაღები, რომ ახალი რეგულაციები შეეხება მხოლოდ მსხვილ საწარმოებს და შესაბამისად, მითითებული მოსაკრებელი ტვირთად არ დააწვება საშუალო და მცირე ბიზნესს. აქვე, რაც დამატებით ხარჯებს, მხედველობაშია მისაღები სამრეწველო სექტორის მიერ გასაწევი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შეძენითა და დანერგვით გამოწვეული შესაბამისი ხარჯები. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთ ტექნიკას აქვს ძალიან მაღალი უკუგება დროის მცირე მონაკვეთში. ასევე გარკვეული ხარჯებთან იქნება დაკავშირებული ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადებაც, რომლის გაწევაც მოუწევს კერძო სექტორს საკონსულტაციო მომსახურების დაქირავებისას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით დგინდება ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებელი - 5000 ლარი (და დაჩქარებული მომსახურებისას - 7500 ლარი). მოსაკრებლის ოდენობა დადგინდა ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების მნიშვნელობის, გარემოზე ზემოქმედების დონისა და ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობის (ექსპერტიზა, დაინტერესებული მხარეებს მონაწილეობის უზრუნველყოფა და ა.შ.), მათ შორის, წარმოების პროცესში განსახორციელებელი ქმედებების (ადგილზე გასვლა, ტერიტორიის დათვალიერება და სხვ.) გათვალისწინებით.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრება ჯარიმები ინტეგრირებული ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელებისთვის (25 000-30 000 ლარი) და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შეუსრულებლობისთვის (10 000-15 000 ლარი). ჯარიმების ოდენობა დადგინდა ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების მიერ გამოწვეული დაბინძურების და გარემოსთვის პოტენციურად მისაყენებელი ზიანის დონის გათვალისწინებით. შესაბამისად, იმისთვის, რომ ჯარიმებს ქონდეს პრევენციული ეფექტი, აუცილებელია რომ მათი ოდენობა იყოს მოსალოდნელი ზიანის ადეკვატური, რაც შეიძლება მიაღგეს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010/75/EU დირექტივას.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტი გამომდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან (306-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XXVI (გარემოს დაცვა) დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან).

ასევე, ამავე XXVI დანართის მიხედვით, ერთ-ერთი სფერო, რომელშიც საქართველომ, განსაზღვრულ ვადებში, უნდა დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, არის სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები და ამ მიმართულებით სახელმძღვანელოდ აღებული უნდა იქნეს 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა „სამრეწველო ემისიების შესახებ“.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან; ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარეობს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივასთან

დაახლოების ვალდებულება, რისი გათვალისწინებითაც მომზადდა წინამდებარე კანონპროექტი.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა. კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და მიმდინარე დაძმობილების პროექტის GE 14 ENI EN 02 16 (GE/24) - „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“ საერთაშორისო ექსპერტების უშუალო მონაწილეობით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს წინასწარი დადებითი შეფასება მიეცა დაძმობილების პროექტის („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“) ფარგლებში მომუშავე ექსპერტების მიერ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ კანონპროექტის შემუშავებაში.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.